თ ა ნ ხ მ ო ბ ა

პროექტებზე საავტორო და საკუთრების უფლებათა მინიჭების შესახებ

ქ. თბილისი 14 / 09 / **2020 წელი**

ერთი მხრივ **შპს "ეი-დი-ეს" (ს/კ 406140484)** წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გიორგი ქურციკიძის** (პ/ნ 01015018332) სახით და **ფ/პ ლევანი ქართველიშვილი** (პ/ნ 01017053144), შემდგომში ორივე მოხსენიებული როგორც „თანაავტორები" და მეორე მხრივ, **მალხაზ მაღრაძე (პ/ნ 01010004394),** შემდგომში მოხსენიებული როგორც „უფლების მიმღები", მცხოვრები: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მ/რ, I კვარტალი, კორპ. 3, ბინა #1, შემგომში - უფლების მიმღები და ერთობლივად ,,მხარეებად'' წოდებული, ვთანხმდებით შემდეგზე:

„თანაავტორები" აცხადებენ, რომ ისინი წარმოადგენენ თანაავტორებს და მესაკუთრეებს სამშენებლო/არქიტექტურული პროექტებისა მიწის ნაკვეთების ს/კ 01.11.13.001.102 და ს/კ 01.11.13.001.103 და მესამე პირებს ამ პროექტების საავტორო და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით არ გააჩნიათ/ და არც შეიძლება გააჩნდეთ რაიმე სახის პრეტენზია.

ზემოხსენებებული განმარტების თანახმად **„თანაავტორები" აცხადებენ თანახმობას** მალხაზ მაღრაძეს (პ/ნ 01010004394) გადასცენ საკუთრების და საავტორო უფლებები სამშენებლო/არქიტექტურულ პროექტებზე - მიწის ნაკვეთებისა ს/კ 01.11.13.001.102 და ს/კ 01.11.13.001.103.

მალხაზ მაღრაძე უფლებამოსილია განახორციელოს პროექტის ცვლილება/კორექტირება, ცვლილებების თანახმად აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში და სხვა სტრუქტურებსა თუ დაწესებულებებში, აიღოს შეცვლილი პროექტის შესაბამისად ახალი მშენებლობის ნებართვა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, იყოს პროექტის დამკვეთი, მშენებლობის მწარმოებელი პირი, მოახდინოს მშენებარე ფართების განაწილება/განშლა და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, განსაზღვროს სართული, ბინის ნუმერაცია, არქიტექტურული პროექტის კორექტირების შედეგად, მდებარეობის შეუცვლელად ბინის ნომრის, სართულის (ნიშნულის) ცვლილება. მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებამდე (იგულისხმება მშენებარე კორპუსი) მართოს და განკარგოს მიწის ნაკვეთი. მოახდინოს მშენებარე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთარი შეხედულებისამებრ, ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე წარმოადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის მოახდინოს რეესტრში განშლის დოკუმენტაციის წარდგენა, შეუზღუდავად განკარგოს იგი როგორც ერთპიროვნულმა მესაკუთრემ, კანონის შესაბამისად მიენიჭოს ყველა ის მესაკუთრის უფლება რაც აღიარებული და დაცულია საქართველოს და ევროპული კანონმდებლობებით და განახორციელოს ნებისმიერი სხვა, მასზე კანონით მინიჭებული უფლებები.

მალხაზ მაღრაძე

გიორგი ქურციკიძე

ლევან ქართველიშვილი

აღნიშნული თანხმობის გაცემით „თანაავტორები“ იტოვებენ უფლებას და „მხარეები“ ადასტურებს წინამდებარე თანხმობაზე ხელისმოწერით, რომ „თანაავტორებს“ ნებისმიერ დროს შეუძლია გამოიყენონ ზემოხსენებული პროექტები რეკლამირების მიზნით, მოიხსენიონ ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი გზით, როგორც მათი შესრულებული სამუშაო/პროექტი, როგორც პროექტის ყოფილმა ავტორებმა. ამ აბზაცით განსაზღვრული უფლებების გარდა, ამ თანხმობაზე ხელის მოწერით ,,თანაავტორებს“ ეკარგებათ ყველა სხვა დანარჩენი არსებული/თუ სამომავლო უფლება, რაც პირდაპირ თუ ირიბად კავშირშია მითითებულ პროექტებთან და ამ პროექტების საკუთრების ან/და საავტორო უფლებებთან, როგორც საკუთრების და საავტორო უფლებათა დამთმობთ.

წინამდებარე თანხმობის შინაარსა და პირობებს ვეთანხმებით სრულად, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერებით:

თანაავტორი:
გიორგი ქურციკიძე
შპს „ეი-დი-ესის“ დირექტორი _____

თანაავტორი:
ფ/პ ლევანი ქართველიშვილი _____

უფლების მიმღები:
ფ/პ მალხაზ მაღაძე _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200696781
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი გზირიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, გამსახურდიას გამზირი 23. ბინა 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	236 99 99
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47975675717420

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას ოცი წლის თოთხმეტ სექტემბერს, მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს, სანოტარო ბიუროში - მისამართზე ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ.23 ბ.47, მომმართეს **გიორგი ქურციკიძემ, ლევანი ქართველიშვილმა და მალხაზ მაღრაძემ.** მათ წარმოდგენეს დოკუმენტი, რომელიც არის პროექტებზე საავტორო და საკუთრების უფლებათა მინიჭების შესახებ თანხმობა-6 (ექვსი) ეგზემპლარი, თითოეული 2 (ორ) გვერდზე და მოითხოვეს წარმოდგენილ დოკუმენტზე თავიანთი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდასატურებელი დოკუმენტებით, ხოლო ლევან ქართველიშვილის- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად გიორგი ქურციკიძემ (დაბადებული 17.11.1987წ. თბილისში, რეგ. საქართველო, ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N 7ა, ბინა 17. პირადი#01015018332), ლევანი ქართველიშვილმა (დაბადებული 24.02.1995წ. თბილისში, რეგ. ქალაქი თბილისი, არუთინ საიათნოვას ქუჩა, N 14, ფართი 2.პირადი# 01017053144) და მალხაზ მაღრაძემ (დაბადებული 27.12.1977წ ზესტაფონში, რეგ თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, კვ. 1, კორ 3, ბ 1, პირადი#01010004394) მომმართეს. მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ **გიორგი ქურციკიძემ, ლევანი ქართველიშვილმა და მალხაზ მაღრაძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა წინამდებარე დოკუმეტის 6(ექვსი) ეგზემპლარის 2 (ორ) გვერდზე, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა 72 (სამოცდათორმეტი თორმეტი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა დ.ღ.გ 18% 2 (ორი) ლარი 16 (თექვსმეტი)თეთრი +საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 12(თორმეტი) ლარი და 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) თეთრი, სულ 86 (ოთხმოცდაექვსი) ლარი და 96 (ოთხმოცდათექვსმეტი)თეთრი.

ნოტარიუსი **ლალი გზირიშვილი**

შეკერილია და დამოწმებულია 3 ფურცლად

ნოტარიუსი:

ნოტარიუსი ლალი ბზიშვილი

NOTARY LALI

GEORGIA 01011048343